

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის*

*სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის*

*ო კ მ ი № 1*

*02 თებერვალი, 2018 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)*

*სხდომას ესწრებოდნენ:*

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მ/შ*

*გია გულორდავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;*

*სატენდერო კომისიის წევრები*

*მაიზერ ნანავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;*

*თენგიზ შანავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;*

*რუსლან კილასონია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;*

*სატენდერო კომისიის აპარატის წევრები*

*გიგა ფარულავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შესყიდვების სამსახურის უფროსი;*

*კობა ჭეჭია – II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე;*

*ზესიკ ქარდავა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი;*

*დავით ხუნჯუა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი.*

*სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ლაშა გოგია, კომისიის წევრები: ლაშა ჯაიანი და თენგიზ ქობალია.*

*სხდომის დღის წესრიგი:*

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.*

*მოისმინეს:* სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ლ. გოგიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, (საფიფიოსა და ნანავების უბანში), საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

*სხდომის მსვლელობა:* სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები.

წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 28 741 ლარით. სამუშაოების შესრულების ვადა გათვალისწინებულია ხელშეკრულების დადებიდან 42 კალენდარული დღე. შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრა 5 წლით.

შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრა შემდეგი კლასიფიკატორის (CPV) კოდის მიხედვით: „45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“

*კომისიამ გადაწყვიტა:* „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში,

საფიფოსა და ნანაების უბანში), საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

**დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:** უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის აქტირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

*კომისიის წევრები:*

1.  გ. გულორდავა;

2.  მ. ნანაია

3.  რ. კილასონია;

4.  თ. ნანაია;

*კომისიის აპარატის წევრები:*

1.  გ. ფარულავა;

2.  კ. ჭეია;

3.  ბ. ქარდავა;

4.  დ. ხუნჯუა.